KA021767357751418

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/65586 30 / ნოემბერი / 2018 წ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“)), საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) და მეორე მხრივ შპს „უნიმედი მაცხეს“ (ს/კ 404865963) (შემდგომში „მყიდველი“) შორის 2011 წლის 13 სექტემბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (2012 წლის 11 ივნისს გაფორმდა ცვლილების ხელშეკრულება) (შემდგომში „ხელშეკრულება“). ხელშეკრულების თანახმად მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- უზრუნველყოს დანართი № 5-ით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლის განმავლობაში და დანართ № 5-ში განსაზღვრული სპეციფიური პირობების გათვალისწინების და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით (მუხლი 3.1.7).

ხელშეკრულების 4.4 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულად ითვლება სამინისტროს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, სააგენტოს მიერ მისი დადასტურების მომენტიდან. სამინისტრო ვალდებულების შესრულების შესახებ დასკვნას სააგენტოს წარუდგენს იმ შემთხვევაშიც, თუ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გამოვლინდა სერვისების ალტერნატიული მიმწოდებელი, ამავე მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების მოქმედების პერიოდის განმავლობაში.

გაცნობებთ, რომ გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლიანი ვადა სრულდება 2018 წლის 3 დეკემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხელშეკრულების 4.4 მუხლის თანახმად მოგვაწოდოთ დასკვნა მყიდველის მიერ ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების 01.12.2011 წლიდან 03.12.2018 წლის ჩათვლით პერიოდში შესრულების შესახებ.

დამატებით გიგზავნით 2011 წლის 13 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებას და 2012 წლის 11 ივნისის ცვლილების ხელშეკრულებას.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის სამსახურის უფროსი

დიმიტრი შანიძე